# დარეგისტრირდი

## პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

## 22 მაისი - 10 სექტემბერი

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული
უნარების
სააგენტო

რეგისტრაციის ინსტრუქცია პროფესიული განათლების მსურველი აპლიკანტებისთვის

- დარეგისტრირდი საიტზე www.vet.emis.ge
- გაიარე ავტორიზაცია და აირჩიე სასურველი პროგრამა ან პროგრამები წითელი ბლოკიდან სახელწოდებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები“.

ინფორმაცია, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციო პროგრამებზე რეგისტრაციის დროს:

- ერთდროულად შეგიძლია დარეგისტრირდე მაქსიმუმ 3 პროფესიულ პროგრამაზე.
- პროგრამის არჩევისას თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს.
- ინფორმაცია პროგრამის შესახებ შეგიძლია მოიძიო მის აღწერაში.

### პროგრამაზე რეგისტრაციისას ყურადღება მიაქციე წინმსწრები განათლების დონის მოთხოვნას.

შენი განათლება უნდა აკმაყოფილებდეს შერჩეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას - საბაზო ანუ 9 კლასის ან სრულ ზოგად ანუ 12 კლასის განათლებას. ზოგიერთ პროგრამას აქვს დაშვების დამატებითი წინაპირობები, რომლებიც მოცემულია პროგრამის აღწერაში. მაგალითად, ჯანმრთელობის ცნობა, ასაკი ან სხვა.

## რეგისტრაციისას დააკვირდი პროგრამის ტიპს და განხორციელების ადგილს.

თუ აირჩიე საბაზო, საშუალო, დუალური ან უცხოენოვანი პროგრამა, მაშინ საკონკურსო შერჩევას გაივლი უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დამატებით ინფორმაციას ამ პროგრამებზე შერჩევის შესახებ მოიძიებ სარეგისტრაციო სისტემაში ან მიიღებ უშუალოდ სასწავლებლისგან.

უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტების შერჩევა მოხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტის საფუძველზე, თუმცა, პროგრამის განმახორციელებელმა სასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მიღების საკუთარი, დამატებითი მექანიზმიც.

თუ ხარ არაქართულენოვანი, პროგრამაზე რეგისტრაციისას შეგიძლია ტესტირების/ შერჩევის ენად მონიშნო აზერბაიჯანული, სომხური ან რუსული ენა, რაც შესაძლებლობას მოგცემს შერჩევის პროცედურები გაიარო შენთვის სასურველ ენაზე. ჩარიცხვის შემდეგ კი, შესაძლებლობა გექნება გაიარო ქართული ენის ექვსთვიანი კურსი.

რა შემთხვევაში თავისუფლდები გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირებიდან:

- თუ ხარ უცხოეთში მცხოვრები, თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- თუ ხარ საქართველოს მოქალაქე, 2023 წელს დაასრულე სკოლა სხვა ქვეყანაში და გაცემული დოკუმენტი აღიარებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
- თუ ხარ საქართველოს მოქალაქე ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირი, 2023 წელს დაასრულე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და შენი განათლება აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- თუ ხარ თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი;

## შენიშვნა:

რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შენს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებ სარეგისტრაციო ბარათს, ხოლო მობილური ტელეფონის ნომერზე სპეციალურ კოდს, რომელიც დაგჭირდება საგამოცდო ბარათის, მოგვიანებით კი შედეგების სანახავად.

საგამოცდო ბარათზე ყურადღება მიაქციე გამოცდის ადგილს, თარიღსა და დროს.
იცოდე, რომ შენ მიერ არჩეული პროგრამის ან პროგრამების შეცვლა შეგიძლია 10 სექტემბრამდე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში რეგისტრაციის დროს არ დაგავიწყდეს შესაბამისი ველის მონიშვნა იმისთვის, რომ ისარგებლო ჩარიცხვის ალტერნატიული მიდგომით.

შერჩევის ეტაპის დასრულების შემდეგ, იწყება ჩარიცხვის ეტაპი. შენს პირად გვერდზე აისახება შენივე რეიტინგი ყველა არჩეულ პროგრამაზე ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო შერჩევის საფუძველზე ერთ პროგრამაზე მაინც მოიპოვე ჩარიცხვის უფლება, სასწავლებელში უნდა წარადგინო შესაბამისი საბუთები და გააფორმო ხელშეკრულება.

თუ რამდენიმე პროგრამას შორის გიწევს არჩევანის გაკეთება, იცოდე რომ მხოლოდ ერთი პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდე. თუ რეიტინგის მიხედვით ჩასარიცხი აპლიკანტი არ გამოცხადდა, წარმოქმნილ ვაკანტურ ადგილს სასწავლებელი შესთავაზებს რეიტინგით შემდგომ აპლიკანტს.

ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თუ ვერ მოხვდი სასურველ პროგრამაზე, კიდევ ერთხელ გეძლევა ჩარიცხვის შანსი - შენს პერსონალურ გვერდზე გამოჩნდება ღიად დარჩენილი თავისუფალი ადგილები, რომლებსაც დაწესებულებები განათავსებენ.

განსაზღვრულ ვადაში ხელმეორედ შეგეძლება აირჩიო არაუმეტეს 3 პროგრამა.

თვალი ადევნე შენს პერსონალურ გვერდს და აკონტროლე ვადები!

# გისურვებთ წარმატებას!

VET.EMIS.GE